




Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# 2018

## წლიური ანგარიში ANNUAL REPORT





Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# სარჩევნი

სოფლის მეურნეობა საქართველოში.....	
2016 წლის ძირითადი მიღწევები .....	
ნინო ზამბახიძის სიტყვა .....	
პროექტები.....	
ზრდა საქართველოში.....	
სამუშაოზე დატუქნებული სწავლება .....	
საადვოკატო საქმიანობა-ლობირება .....	
ფერმერთა სათათბირო-ახალი ინიციატივა.....	
ფერმერთა სათათბიროს მიზნები .....	
ფერმერთა სათათბიროს სტრუქტურა.....	

## 2018 წლის ანბარიში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა სტრატეგიულ დარგად არის მიჩნეული, ის ჯერ კიდევ მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. დღეისათვის, ამ სექტორში ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად კვლავ რჩება განათლება, ფინანსურ რესურსებსა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით და ქართველი ფერმერების ხელშეწყობის მიზნით, ჩვენ ამოცანად სწორედ ამ მიმართულებით მუშაობა დავისახეთ.

ვფიქრობთ, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა. აუცილებელია, სახელმწიფომ არსებითი წვლილი შეიტანოს სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე პროცესების სწორი მიმართულებით წახალისებაში, როგორც გამართული საკანონმდებლო ბაზის შექმნის, ასევე ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის თვალსაზრისით.

ასევე, უმნიშვნელოვანესია ფერმერთა მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია. ამ კუთხით, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, მაქსიმალურად უწყობს ხელს ხარისხიანი პროდუქციის მწარმოებელ ფერმერებს.



საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული წარმატებული მაგალითების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და, ზოგადად, ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. შესაბამისად, ინტენსიურად ვთანამშრომლობთ მედიასთან და ვცდილობთ თითოეული ფერმერის წარმატება ვაქციოთ მაგალითად მათთვის, ვინც ჯერ კიდევ ვერ ბედავს ამ რთულ, მაგრამ ძალიან საინტერესო სფეროში ადგილის დამკვიდრებას. ასევე, გვინდა ინფორმაცია მივიტანოთ ყველა დაინტერესებულ პირამდე - ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ. ამიტომაც, აქტიურად ვიღებთ მონაწილეობას სხვადასხვა კონფერენციებში თუ სამუშაო შეხვედრებში.

ჩვენი გამოწვევაა ფერმერების მრავალპროფილურობა და მრავალმხრივი საჭიროებები და გვჯერა, რომ ამ მხრივაც, სწორი მიდგომა პოზიტიური ცვლილებების საწინდარი იქნება. სწორედ ამ მიდგომების გათვალისწინებით იგეგმება ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობა და ცალკეული აქტივობები, რომლებიც დეტალურად არის წარმოდგენილი ასოციაციის წლიურ ანგარიშში.

**საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე  
ნინო ზამზახიძე**



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# წლიური ანბარიში


## ინსტიტუციური მართვა

### ასოციაციის წევრთა ბაზა

2018 წლის მონაცემებით, საქართველოს ფერმერთა ასოციაციაში გაწევრიანებულია 1335 დამოუკიდებელი ფერმერი, 195 კოოპერატივი და 122 ასოცირებული წევრი (ასოცირებულ წევრებს წარმოადგენენ კომპანიები, ძირითადად, შ.პ.ს-ები და შიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციები/ასოციაციები). ამ დროისათვის, ასოციაცია, წევრთა საერთო რაოდენობით 4000-მდე ფერმერს აერთიანებს.

გრაფიკი 1-ში წარმოდგენილია საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ინდივიდუალური წევრების განაწილება რეგიონების მიხედვით. ინდივიდუალური წევრების 19.8% სამეგრელო-ზემო სვანეთიდან არის, 14.5% და 12.9% რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთიდან და კახეთიდან.

გრაფიკი 1. ინდივიდუალური წევრები რეგიონების მიხედვით (%)




# წლიური ანბარი



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია


ფერმერების საქმიანობა დივერსიფიცირებულია. ფერმერი, რომელიც დაკავებულია მეცხოველეობით, ასევე მოჰყავს კარტოფილი და აწარმოებს თაფლსა. როგორც დიაგნამიდან ჩანს, რომ 1335 ფერმერიდან 457 (რაც 34%-ს შეადგენს) მისდევს მეცხოველეობას. შემდეგ მოდის მევენახეობა, რომელსაც მოსდევს მეფუტკრეობა, ხილისა და თხილის წარმოება.

## წმვრი ფერმერების ძირითადი საქმიანობები



დიაგრამაში მოცემულია ინდივიდუალური წმვრი ფერმერების ძირითადი საქმიანობები რეგიონების მიხედვით.


## ძირითადი აგროსაქმიანობა გურიის რეგიონში






# წლიური ანბარიში


ძირითადი აგროსაქმიანობა თბილისში



ძირითადი აგროსაქმიანობა იმერეთის რეგიონში



ძირითადი აგროსაქმიანობა კახეთის რეგიონში




# წლიური ანბარიში




Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია


ძირითადი აგროსაქმიანობა რაჭა - ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონში



ძირითადი აგროსაქმიანობა მცხეთა - მთიანეთის რეგიონში



ძირითადი აგროსაქმიანობა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონში






Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# წლიური ანბარიში

გრაფიკი №2 გვიჩვენებს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის კოოპერატივების განაწილებას რეგიონების მიხედვით. კოოპერატივების 27.2% სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან არის, 16.9% - იმერეთის რეგიონიდან, ხოლო 10.3% - სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან.

გრაფიკი 2. წმვრი კოოპერატივები რეგიონების მიხედვით




კოოპერატივებს შორის უფრო გავრცელებულია მეფუტკრეობა, მესაქონლეობა და თხილის წარმოება. შემდეგ პოზიციაზეა ბოსტნეულის, ხილის, მარცვლეული კულტურების, რძის პროდუქტების წარმოება და სასათბურე მეურნეობა. დამოუკიდებელი ფერმერებისგან განსხვავებით, მევენახეობით მხოლოდ 7 კოოპერატივია დაკავებული. წარმოების მასშტაბის გათვალისწინებით, მხოლოდ რამდენიმე კოოპერატივი და ასოცირებული წევრი შეიძლება ჩაითვალოს მსხვილ მწარმოებლად.





## წევრი კოოპერატივების ძირითადი საქმიანობები



### ასოციაციის ახალი წევრები (2018 წელი)

კოოპერატივების, ასოცირებული წევრებისა და დამოუკიდებელი ფერმერების რაოდენობა დაახლოებით 4000 შეადგენს. 2018 წლის განმავლობაში, ასოციაციას შემოუერთდნენ შემდეგი ახალი წევრები:

- 201 ინდივიდუალური ფერმერი;
- 13 კოოპერატივი;
- 15 ასოცირებული წევრი;
- 4 ასოციაცია.

ასოციაციის სოფლის მეურნეობის სფეროს სპეციალისტების აქტიური ჩართულობით კონსულტაცია 1600-ზე მეტმა ფერმერმა გაიარა.

### ფერმერთა სათათბირო

ფერმერთა სათათბირო ფერმერთა ასოციაციის სტრუქტურის ნაწილია, რომელიც ადვოკატირებისა და სარეკომენდაციო საქმიანობის პლატფორმას წარმოადგენს. ის 2017 წლის 25 სექტემბერს შეიქმნა. მასში წარმოდგენილია საქართველოს ათივე რეგიონის 60 მუნიციპალიტეტიდან ორ-ორი წარმომადგენელი, რაც ჯამში 120 მოთათბირეს შეადგენს. ფერმერთა სათათბირო როტაციული სისტემით ფუნქციონირებს და მისი შემადგენლობა ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ახლდება. 2018 წლის განმავლობაში, ფერმერთა სათათბირო აქტიურ რეჟიმში იკრიბებოდა, როგორც სექტორული სამუშაო ჯგუფების, ასევე რეგიონული კომიტეტების ფარგლებში, მწვავე საკითხების განხილვისა და შესაბამის სტრუქტურებთან წარდგენის მიზნით.

### ფერმერთა სათათბიროს გავრცელებული წლიური შეხვედრები

- 2 გაფართოებული შეხვედრა;
- 10 რეგიონული კომიტეტის შეხვედრა;
- 15 სექტორული შეხვედრა;
- 10 ლოკალური შეხვედრა ინდივიდუალური პრობლემის მოსაგვარებლად.

აღნიშნულ შეხვედრებზე, ფერმერები განიხილავდნენ პრობლემებს, რომელთა მოგვარების მიზნით, შემდგომში, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობდა.



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# წლიური ანბარი

## საგანმანათლებლო პროგრამები

საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ შეიმუშავა განათლებისა და გადამზადების პროექტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა. განათლებისა და გადამზადების პროექტი ითვალისწინებს:

- სოფლის მეურნეობაში დარგობრივი და ზოგადი ტრენინგების ორგანიზებას;
- კემბრიჯის საერთაშორისო კოლეჯის დისტანციური პროგრამების განხორციელებას;
- განათლების სფეროში ცნობიერების ამაღლების აქტივობებს.

მემორანდუმის გაფორმების საჭიროება მას შემდეგ წარმოიშვა, რაც 2017 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტისა და ფერმერთა ასოციაციის წევრებმა შეხვედრაზე გამოთქვეს სურვილი სახელმწიფოს მხარდაჭერით მიიღონ თანამედროვე ცოდნა არა მარტო ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო საგანმანათლებლო დონეზეც.

## ახალი სახელმძღვანელოები და დარგობრივი ლიტერატურა



სოფლის მეურნეობაში ყველაზე მწვავე პრობლემად განათლების ხელმისაწვდომობა რჩება. ამ პრობლემის საპასუხოდ, ფერმერთა ასოციაციამ პარტნიორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით გამოსცა წიგნები: - „გზა ფერმერობისაკენ“ (სპონსორი ფონდი „კონსტანტა“) და „ცისარტყელა კალმახის წარმოება საქართველოში“ (სპონსორი კორპორაცია „ქეა საერთაშორისო უავეასიაში“). ასევე, ფონდი „კონსტანტას“ ფინანსური მხარდაჭერით, 2018 წლის ბოლოს დასრულდა მუშაობა წიგნზე „მეფრინველეობა-მეცხოველეობა საქართველოში“ და ელექტრონული სახითაც გამოიცა. გარდა ამისა, შეიქმნა ვკლევეები, საინფორმაციო ბროშურები და სხვადასხვა სახის ლიტერატურა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და მისი სხვადასხვა დარგის პრობლემურ საკითხებზე, პენსპექტივებზე და ამ მიმართულებით მიმდინარე პოზიტიურ სიახლეებზე.


პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი - „წიგნი - გზა ფერმერობისაკენ ყველა სოფელს“, რომლის ფარგლებშიც წიგნები დარიგდა ქვეყნის დედაქალაქსა და რეგიონებში მოქმედ ადგილობრივ კოლეჯებში, ასოციაციებში, დემოკრატიული ჩართულობისა და საზოგადოებრივ ცენტრებში, საკონსულტაციო ცენტრებსა და საჯარო უწყებებში. წიგნები, ასევე გადაეცა ფერმერთა ასოციაციის რეგიონული კომიტეტების თავმჯდომარეებს ფერმერებთან გაზიარების მიზნით. მთავარი პირობა იყო ლიტერატურის საჯარო მოხმარებისათვის გამოყენება (ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს აღნიშნულ დაწესებულებას და გაეცნოს ლიტერატურას).



სისარტყელა კალმახი  
ნაიბოძაბის ტექნოლოგია

გზა  
ფერმერობისაკენ

მეხსიველუპა-მეფრინველუპა  
ნარმუაბის ტექნოლოგია




# წლიური ანბარიში



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

## აგრობიბლიოთეკა

2018 წლის 19 მარტს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ინიციატივითა და მხარდაჭერით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვახტანგ მეექვსეს კორპუსში „აგრობიბლიოთეკა“ გაიხსნა. სოფლის მეურნეობის სფეროში ხელმისაწვდომი ყველა ინფორმაცია ამ ოთახშია თავმოყრილი. ამ ეტაპზე აგრობიბლიოთეკაში ასამდე წიგნია განთავსებული და რაოდენობა ეტაპობრივად გაიზრდება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის დახმარებით, ასევე მიმდინარეობს ბეჭდური მასალების გაციფრულება, რაც აღნიშნული მასალების ხელმისაწვდომობას გაზრდის. აგრობიბლიოთეკასთან ერთად, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც გაფორმდა.



## სამეცნიერო ტრენინგები

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით, პროექტის - “სოფლის მეურნეობაში განათლების ხელშეწყობისა და ფერმერთა შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა“ ფარგლებში, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ ფერმერთა სათათბიროს სექტორულ ჯგუფებს გამოკითხვის საფუძველზე შესთავაზა შემდეგი სახის ტრენინგები:

- კენკროვანი კულტურების წარმოება;
- კარტოფილის მოვლა-წარმოება;
- მარცვლოვანი კულტურების მოვლა-წარმოება;
- ბოსტნეული კულტურების მოვლა-წარმოება;
- აგროტურიზმის წარმოების პოტენციალის შეფასების შესახებ;
- ფუტკრის დაზავდებები, მავნებლები და დაცვა;
- თხილის მოვლა და დაცვა;
- მეცხოველეობის მიმართულებით სურსათის უვნებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ბიომევენახეობა;
- მიწის ანექიტექურა.





Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# წლიური ანბარი

## კემბრიჯის სასწავლო პროგრამა

პრეზიდენტის სარეგერვო ფონდის მხარდაჭერით, პროექტის - "სოფლის მეურნეობაში განათლების ხელშეწყობისა და ფერმერთა შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა" ფარგლებში საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, სხვადასხვა არასასოფლო სამეურნეო მიმართულებით ცოდნის ამალღების მიზნით, ფერმერთა სათათბიროს წევრებს შესთავაზა მაღალკვალიფიციური კურსები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: ტურიზმი, ვაჭრობა, მართვა, ფინანსები და ა.შ. ასევე, ენის ბარიერის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ფერმერთა ასოციაციამ ფერმერებს მისცა შესაძლებლობა თავიანთი დაფინანსება გადაეცათ მათივე მეურნეობაში ჩართული ოჯახის წევრებისათვის, რომელთა ამალღებული კვალიფიკაცია ისევ აღნიშნული მეურნეობის განვითარებას მოხმარდება.

პროგრამის ფარგლებში, 25-ზე მეტი ფერმერი მიიღებს საერთაშორისო აღიარების მქონე კემბრიჯის დისტანციური სწავლების კურსის დიპლომს სხვადასხვა მიმართულებით.

## სისტემური პროექტები - ახალი ტექნოლოგიები

### აგრონავტი

სოფლის მეურნეობის მიმართულებით ყველა საჭირო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, 2017 წელს საქართველოს ფერმერთა ასოციაციისა და USAID-ის პროექტის „ზრდა საქართველოში“ ერთობლივი ძალისხმევით, მობილური აპლიკაცია „აგრონავტი“ შეიქმნა.


აგრონავტი მარტივი და მოქნილი ელექტრონული სისტემაა, რომელიც ხელმისაწვდომია Android და Apple iOS მომხმარებლებისთვის და ის ამ დროისთვის ქართულენოვანია.

<https://play.google.com/store/apps/details?id=ge.org.gfa><https://itunes.apple.com/app/id1274568219>

აპლიკაციის გადმოწერის შემდეგ, შესაძლებელია რეგისტრაცია შესაბამისი ველების შევსების საფუძველზე, აგრონავტის გამოყენების წესებისა და პირობების დაცვით, ხოლო ვერიფიკაცია ტელეფონზე SMS შეტყობინების მიღებით ხორციელდება.

აპლიკაციაში 2017 წლიდან ხელმისაწვდომია შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ყოველდღიური აგროდაიჯესტი;
- ინფორმაცია აგროპროდუქტების ფასების ცვლილების შესახებ;
- სოფლის მეურნეობის სფეროში ჩატარებული სხვადასხვა კვლევა;
- ფერმერზე მორგებული ლოკალური ამინდის პროგნოზი;
- იჯარით გასაცემი მიწების აუქციონები;
- აგრობიზლითეკა;
- კლიმატის, ნიადაგის და სხვა პირობების მომხილვა რეგიონულ ტერიტორიაში;
- აგროდაზღვევა;
- აგროშეთავაზებები.



გარდა ამისა, მობილური აპლიკაცია „აგრონავტი“ ფერმერს მის მიერ წარმოებული პროდუქტის გასაღების ახალ ბაზარზე გასვლისა და დაკავშირების საშუალებას აძლევს. სექცია „საცავი“ ხელმისაწვდომია იმ დარეგისტრირებული მომხმარებლისთვის, რომელიც ფასისა და მოცულობის მითითებით აპლიკაციაში ათავსებს წარმოებულ პროდუქტს. სექცია „შეტყობინებები“ საშუალებით აგრონავტის მომხმარებლებს ეგზავნებათ ელექტრონული შეტყობინება ბაზარზე კონკრეტული მოთხოვნის გაჩენის შესახებ.

2018 წლიდან აპლიკაციას დაემატა სექციები - ინფორმაცია აგროგამოფენების და ქალი აგრომწარმოებლების შესახებ.

# წლიური ანბარიში



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

## აგრონავთის კრემენტაცია აშშ-ში



**JUNE 14, 2018**  
**WASHINGTON**  
**DC**  
ACADEMY HALL • FHI 360



საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორმა თამარ თორიამ, ვაშინგტონში, ორგანიზაცია FHI 360-ში ჩატარებულ ICTforAg (საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობისთვის) კონფერენციაზე USAID-ის პროექტის „ზრდა საქართველოში“ მიერ დაფინანსებული მობილური აპლიკაცია „აგრონავტი“ წარმოადგინა. კონფერენციაში მონაწილეობდა სოფლის მეურნეობისა და ტექნოლოგიის სფეროში აქტიური 300-მდე ლიდერი და გადაწყვეტილების მიმღები პირი, როგორც საერთაშორისო განვითარების საზოგადოებიდან, ისე კერძო სექტორიდან. დისკუსიები წარმართა თემაზე - რამდენად შეუძლია ინოვაციებს გააძლიეროს მცირე ფერმერები და მათი მხარდამჭერი ორგანიზაციები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით. კონფერენციაზე საუბარი იყო სხვადასხვა ICT პლატფორმებისა და აპლიკაციების მართვასთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარების სარგებელზე, საქართველოს, პაკისტანისა და მექსიკის მაგალითზე.



## გეოგაპი

2018 წელს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, USAID-ის პროექტის "ზრდა საქართველოში" (Zrda) ფარგლებში, პოლანდიურ საკონსულტაციო კომპანია „ქუპონტან“ (Q-Point) ერთად შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების სერტიფიცირების ადგილობრივი სტანდარტი - გეოგაპი.

გეოგაპის მიზანი საქართველოში მიკვლევადი და უვნებელი პროდუქტის როგორც წარმოების, ისე მიწოდების ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობაა, რაც ფერმერული საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებისთვის აუცილებელი პირობაა

მნიშვნელოვანია, რომ პროექტის მხარდაჭერა მხოლოდ უვნებლობაზე იდენტიფიცირებული პროდუქტის მწარმოებლებსა და დისტრიბუტორებზე ვრცელდება. ამ მხრივ, მთავარი აქცენტი კეთდება მიკვლევად პროდუქტზე (სურსათსა და ცხოველის საკვებზე), რომელსაც წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე დართული აქვს დამზადებისას გამოყენებული ნებისმიერი მასალისა თუ ნივთიერების შესახებ ინფორმაცია.

მომხმარებლები, საცალო მოვაჭრეები, მოქმედი კანონმდებლობა, მდგრადი სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პოლიტიკის თანამედროვე პრინციპები სულ უფრო და უფრო მოითხოვენ ქვეყნის აგროსექტორში მართვის ისეთი სისტემის დანერგვას, რომელიც გამოყენებული ქიმიკატების რაოდენობასა და მათ გარემოზე ზემოქმედებას შეამცირებს. ახალმა სისტემამ, ამავდროულად, უნდა გაზარდოს ბუნებრივი რესურსებისა და ეკოსისტემის სერვისების ეფექტურობა, ხელი შეუწყოს დაქირავებული პერსონალისთვის ღირსეული და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას.



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# წლიური ანბარი

სწორედ ამ პრობლემების დაძლევას ემსახურება გეოგაპის მოთხოვნები და მის ფარგლებში, აქტიურად დაიწყო თანამედროვე სტანდარტების დანერგვა ჩვენი ქვეყნის ფერმერულ მეურნეობებში.

წლის განმავლობაში საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ ჰოლანდიურ საკონსულტაციო კომპანია „ქუპონტან“ (Q-Point) ერთად საპილოტე პროექტი განახორციელა ხუთ მეურნეობაში - გორის, ქარელის, მარნეულისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში, სადაც ფერმერები ვაშლს, ყოლოს, კიტრს, პომიდორს და სალათის ფურცლებს აწარმოებენ. პროექტის ფარგლებში საპილოტე ფერმერებს ჩაუტარდათ გეოგაპის მოთხოვნებით გათვალისწინებული წყლის, ნიადაგისა და ხილ-ბოსტნეულის ლაბორატორიული ანალიზები, ხოლო წლის ბოლოს - შიდა და გარე აუდიტის სამუშაოები.



საპილოტე პროექტის ფარგლებში სტანდარტის შემუშავებისა და დანერგვის მიზნით, განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები: შეიქმნა გეოგაპის მოთხოვნების სია, ზოგადი დებულებები, სტანდარტის დანერგვის სახელმძღვანელო და ჩანაწერების ფორმების მონახაზები; განხორციელდა კანონმდებლობის მიმოხილვა, ლაბორატორიული მომსახურებების ბაზრის ვკლევა, დაინტერესებული მხარეების ორი შეხვედრა, საქართველოში მასერტიფიცირებელი და საკონსულტაციო კომპანიების იდენტიფიცირება; დაიწყო სასერტიფიკაციო სქემის შექმნაზე მუშაობა.

გეოგაპის ფარგლებში, ახალი სტანდარტის დანერგვის მსურველთათვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: მავნებლების ინტეგრირებული მართვა; აგროქიმიკატების გამოყენება; პირველადი დახმარების აღმოჩენა; ჰიგიენის წესები; რისკების შეფასება - შიდა და გარე აუდიტი; ფერმერების მიერ აგროქიმიკატებისა და პესტიციდების შესახებ ჩანაწერების წარმოება და სხვ.



შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და პროექტის მხარდაჭერის მიზნით, 2019 წლის დასაწყისში, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. ასოციაციის კოორდინაციით, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს აქტიური საინფორმაციო კამპანია, ახალი სტანდარტებისა და მისი სარგებლის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

2019 წელს ქუპონტან (Q-Point) ერთად, ჰოლანდიური სამთავრობო ფონდის - ნუფიკის (Nuffic) დაფინანსებით, გეოგაპისთვის იქმნება ჯგუფური სერტიფიცირების სქემა და მუშავდება ხარისხის მართვის სისტემა კოოპერატივებისათვის. წელსვე, იწყება ფერმერების სერტიფიცირება და გაყიდვების ქსელის (ინდივიდუალების, ორგანიზაციების, რესურსების, აქტივობებისა და ტექნოლოგიების ქსელი, რომლებიც პროდუქტის შექმნიდან რეალიზაციამდე ყველა ეტაპს მოიცავს) გამართვა. რაც სერტიფიცირებულ მწარმოებლებს მნიშვნელოვნად დაეხმარება თავიანთი პროდუქციის მომგებიანად რეალიზებაში.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციისთვის გეოგაპის დანერგვა ერთ-ერთი პრიორიტეტული პროექტია, რადგან მისი შედეგები ქვეყნის აგროსექტორს მოუტანს როგორც მყისიერ, ასევე გრძელვადიან სარგებელს. გეოგაპი მწარმოებლის სერტიფიცირების გზით უზრუნველყოფს ქვეყანაში პირველადი წარმოების პროდუქციის ხარისხის ზრდა-შენარჩუნებას, რაც საბოლოოდ, სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესებას გამოიწვევს. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებას და საერთაშორისო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის ზრდას.



## შეხვედრა გეოგაპის ბენეფიციარებთან



სასტუმრო რუმში, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ინიციატივით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების სერტიფიცირების შესახებ (გეოგაპი/GeoGAP) შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საქართველოში მოქმედი მასერტიფიცირებელი და საკონსულტაციო კომპანიების წარმომადგენლები, სურსათის უვნებლობის ექსპერტები და გეოგაპის საპილოტე ფერმერები ესწრებოდნენ.

## მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა

პროექტი „სურსათისა და სოფლის მეურნეობის დარგში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერი ინიციატივა“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება ხუთი ორგანიზაციისგან შემდგარი კონსორციუმის მიერ - ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევითი ინსტიტუტი (ISET-PI), ექსპორტის განვითარების ასოციაცია (EDA), სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) და ასოციაცია „ათინათი“ (ATINATI), საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) ხელმძღვანელობით.



პროექტის მიზანია ბიზნესის მხარდაჭერი ორგანიზაციების (BSO) გაძლიერება სურსათისა და სოფლის მეურნეობის დარგში. ეს ორგანიზაციები კი შემდგომში, მათ წევრ მცირე და საშუალო საწარმოებს (SME) ისეთ საკითხებში გაუწევენ დახმარებას, როგორცაა DCFTA რეგულაციების დაკმაყოფილება, ევროკავშირის ბაზრის ხელმისაწვდომობა და საქმიანი ურთიერთობების გაუმჯობესება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა საჯარო და კერძო დიალოგის ჩახალისება პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ბიზნესის მხარდაჭერი ორგანიზაციების საჭიროებათა კვლევა;
- ტრენინგი BSO-ებისთვის ორგანიზაციული განვითარების, სურსათის უვნებლობისა და ექსპორტის საკითხებზე;
- BSO-ებისთვის ქოლ-ცენტრის საკონსულტაციო მექანიზმის განვითარება;
- სურსათის უვნებლობასა და DCFTA-ს სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გზამკვლევის შემუშავება;
- BSO-ების სიმძლავრეების განვითარებისთვის მცირე საგრანტო პროგრამის, რომლის ფარგლებშიც 14 ბიზნესის მხარდაჭერი ორგანიზაცია დაფინანსდა;
- კერძო და საჯარო დიალოგი რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის აღსრულების სირთულეებზე.



## პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები

საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, „სურსათისა და სოფლის მეურნეობის დარგში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერი ინიციატივა“ პროექტის ფარგლებში, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ჩაატარა ტრენინგები რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის აღსრულების სირთულეების შესახებ.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ინიციატივით, სამდღიანი ტრენინგები ჩატარდა კახეთის რეგიონსა და აჭარის ა/რ-ში. ტრენინგებში 40-მდე ორგანიზაციის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. შეირჩა ხუთი ორგანიზაცია, რომელთაც ტრენინგები, ორგანიზაციის გაძლიერების მიზნით, გაუწევენ კონსულტაციებს. ტრენინგის დასრულების შემდეგ, ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი.



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# წლიური ანბარი

## კოოპერატივების შესაძლებლობების განვითარება

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესაძლებლობების განვითარების“ (CBAC) 3 წლიანი პროექტი (2015-2018) მიზნად ისახავდა კოოპერატივთა საწარმო ჯაჭვის წარმატებული მოდელის შექმნას, რაც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის.

პროექტის სამიზნე რეგიონები იყო ვახეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, ხოლო დაფინანსებული მიმართულებები: სტაფილო, საშემოდგომო ხახვი, კარტოფილი, მეფუტკრეობა.

პროექტი მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მიეცათ კოოპერატივებს 21 მუნიციპალიტეტიდან, დაახლოებით ას ორმოცდაათმა კოოპერატივმა (ასოციაციის წევრმა კოოპერატივებმა პროექტის სამიზნე რეგიონებში) მიიღო სარგებელი პროექტის მიერ მომზადებული რეკომენდაციებისგან. ოცდაორმა კოოპერატივმა, რომელიც 130 წევრს აერთიანებს, მიიღო ტექნიკური დახმარება სხვადასხვა ტრენინგის სახით. ცამეტმა კოოპერატივმა (96 წევრით), რომელთაგან 22 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია - 32 ქალი და 17 ახალგაზრდა, სარგებელი მიიღო თანამონაწილეობრივი გრანტით. ასევე, შემუშავდა მარკეტინგული სტრატეგია ხუთი კოოპერატივისთვის, რომელიც მოიცავდა ინდივიდუალური მარკეტინგული გეგმის შექმნას საერთაშორისო ბაზრებისთვის - ბრენდინგს (ლოგოს დიზაინი/ბრენდბუქი, შეფუთვა, ეტიკეტის დიზაინი, შეტყობინების ფანჯარა), პროდუქციის კატალოგსა და სასაჩუქრე კომპლექტის დიზაინს.



## პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები

საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სიმძლავრეების განვითარება" (Capacity Building of Agricultural Cooperatives) პროექტის ფარგლებში ჩატარა ტრენინგი შემდეგ თემაზე: "სასოფლო-სამეურნეო რესურსების მდგრადი მართვა, შესაბამისი კანონმდებლობა და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინება". ტრენინგი ჩატარდა პროექტის ბენეფიციარი 13 კოოპერატივის 26 წევრს. ტრენინგის დასრულების შემდეგ, ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სიმძლავრეების განვითარების“ პროექტი დაფინანსებულია ავსტრიის განვითარების სააგენტოს მიერ (Austrian Development Agency).



# წლიური ანბარიში



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

## აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამას ახორციელებს პროექტების მართვის სააგენტო. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის კონკრეტული კულტურების განვითარებას მთელი საქართველოს მასშტაბით. პროექტი ითვალისწინებდა პირველადი წარმოების ხელშეწყობას (ხილისა და ბოსტნეულის ბაღების გაშენება-გაფართოება) და მეორადი წარმოების წახალისებას (სოფლის მეურნეობის პროდუქტის გადამუშავება, სამაცივრე მეურნეობების მოწყობა), ასევე თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სტანდარტების დანერგვას.



საქართველოს ფერმერთა ასოციაცია ამ პროგრამის ფარგლებში 2018 წლის 1 მარტიდან 2018 წლის 1 სექტემბრამდე ახორციელებდა ინფორმაციის გავრცელებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიას დასავლეთ საქართველოს შემდეგ რეგიონებში: რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, აჭარა, გურია, იმერეთი, რომლის ფარგლებშიც რეგიონული მობილიზატორებისა და მედიის სხვადასხვა არხების საშუალებით ათასობით პოტენციურ ბენეფიციარს მიაწვდინა ხმა და გადასცა ინფორმაცია პროგრამის ბენეფიტებისა და პირობების შესახებ. შედეგად, ფერმერები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ პროგრამის პირობებს, გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები და ისარგებლეს საგრანტო რესურსებით, რამაც დააჩქარა მათი ბიზნესის განვითარება და ხელი შეუწყო დამატებითი ეკონომიკური დოვლათის შექმნას ქვეყანაში.

## თაფლის ფესტივალი

პროექტის „FASSI“ მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულმა საქართველოს მეფუტკრე ფერმერთა ასოციაციამ 10 ნოემბერს თაფლის ფესტივალს უმასპინძლა.

თაფლის ფესტივალზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ქონდათ თაფლთან ერთად ქართული ღვინო, პური და ჩაი დაეგემოვნებინათ.

პროექტი „FASSI“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ახორციელებს კონსორციუმი საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელობით.





Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# წლიური ანბარი

## სოციალური და სოლიდარული პროექტები

### ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ერთობლივი პროექტი

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ერთობლივი პროექტი საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით ხორციელდება და მას ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებს. პროექტი სხვადასხვა პარტნიორის ჩართულობას ითვალისწინებს.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, როგორც ერთ-ერთმა პარტნიორმა, დასავლეთ საქართველოს 6 რეგიონში (რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა, გურია, სამეგრელო, იმერეთი, შიდა ქართლი) შეარჩია 50 ქალის ბიზნესი (სხვადასხვა ბიზნეს სექტორში).



შერჩეულ ვანდიდატებს, 2018 წლის განმავლობაში, ჩაუტარდათ სხვადასხვა ტრენინგი ბიზნესის მართვისთვის საჭირო ტექნიკური/თეორიული ცოდნის გადასაცემად, მიეცათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა აქტივობებში (გამოფენა-გაყიდვები, სასწავლო ტური იტალიაში ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით), ხოლო წლის ბოლოს, 26 მათგანს (ბიზნეს გეგმის წარდგენის შემდეგ) გადაეცა მცირე გრანტი ბიზნესის მდგრადი განვითარებისთვის.



### პროექტის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები

სასტუმრო ფაბრიკაში პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ ფარგლებში მეორე სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ქალი მეწარმეები დაესწრნენ. ფინანსთა სამინისტროს აუადგიმამ “ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის” პროექტის ფარგლებში მეწარმე ქალებისთვის ტრენინგების სერია ჩაატარა - “როგორ ვმართოთ და განვავითაროთ ბიზნესი”. მეწარმე ქალებმა მიღებული ცოდნა საინვესტიციო წინადადებების დაწერაში გამოიყენეს და პროექტის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერაც მიიღეს. პროექტის ფარგლებში, ბენეფიციარებმა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოციალური მედიის მართვის ტრენინგიც გაიარეს.



## პროექტები მართლმსაჯულების სექტორისათვის

2016 წლიდან, ევროკავშირის მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაციის სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა) მიერ და სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტთან (DVV International) პარტნიორობით მიმდინარეობს პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისა და მათი ოჯახის წევრების პროფესიულ გადამზადებასა და დასაქმებას - სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გზით. პროექტის ფარგლებში შემუშავდა:



- სტუდენტისა და ინსტრუქტორის ვმყოფილების შეფასების ინსტრუმენტი;
- სამაგიდო კვლევა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების პროფესიული განათლებისა და დასაქმების პროგრამების ეფექტიანობის შესახებ;
- კვლევა დასაქმების ბაზრისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა პროფესიული შესაძლებლობების და საჭიროებების გამოსავლენად;
- ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების, მათი ოჯახის წევრებისა და სოციალური მუშაკებისთვის;
- შემუშავდა მოკლევადიანი პროგრამები - მეყვავილეობა და კენკროვანი კულტურების ჩარმოება დახურულ გრუნტში.

პროექტის ფარგლებში 45 ბენეფიციარისთვის მოკლევადიანი ტრენინგები ჩატარდა. მოეწყო სათბურები ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულება N5-ში და სასჯელაღსრულების დაწესებულება N16-ში. განხორციელდა სრული მხარდაჭერითი სერვისები მიზნობრივ ჯგუფთა დუალურ განათლებაში ჩართულობის კუთხით. ასევე, ჩატარდა ცნობიერების ამაღლების ვამპანიები მიზნობრივი ჯგუფისა და კერძო სექტორის შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით.

## კვლევა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა მხარდაჭერისთვის

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, სიდა და DVV International-მა წარმოადგინეს კვლევის შედეგი, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების პროფესიული განათლებისა და დასაქმების პროგრამების ეფექტიანობას ეხებოდა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მსჯავრდებულთათვის პროფესიული განათლების მიწოდება, მეტწილად, ხორციელდება პროფესიული სწავლების სახელმწიფო პროგრამების მოდიფიცირების საფუძველზე. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისთვის განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში ჭიანურდება, რაც განპირობებულია პროგრამის მრავალეტაპიანი დამტკიცების პროცედურებით.



კვლევამ აჩვენა, რომ ზოგადად დაბალია საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ბენეფიციართა ჩართვის მოტივაცია. მსჯავრდებულთა ნაწილისათვის, ამას განაპირობებს მათი პიროვნული დამოკიდებულება სასჯელო პროცესისადმი, შიში და საზოგადოებისადმი უნდობლობა, ხოლო მეორე ნაწილი, შესაძლოა, ვერ ხედავდეს მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას და მინიმალურად აფასებდეს შემდგომი დასაქმების პერსპექტივას. მათი დაბალი მოლოდინები, დამსაქმებლების დამოკიდებულება ნასამართლეობის მქონე პირებისადმი, ართულებს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების სამსახურში მიღებას და/ან მათ მიერ დაკავებულობისთვის შენარჩუნებას.



კვლევა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ტრენინგებისა და დასაქმების ხელშეწყობის ინიციატივა მართლმსაჯულების სექტორში“ ფარგლებში განხორციელდა. პროექტის მიზანია განახორციელოს ისეთი ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისა და მათი ოჯახის წევრების პროფესიულ გადამზადებასა და დასაქმებას - სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გზით.



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# წლიური ანბარი

## მცირე ფერმერული მეურნეობები საპატიმროებში

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში საპატიმროებში მცირე ფერმერული მეურნეობები მოეწყო. პირველ ეტაპზე პროექტი რუსთავეში, ქალთა ციხეში და ქსნის ციხეში განხორციელდება, სადაც სხვადასხვა ტიპის სათბურები აშენდება. პროექტის მიზანი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისთვის მეურნეობის წარმოების მიმართულებით პრაქტიკული უნარების გამომუშავებაა, რათა საპატიმროს დატოვების შემდეგ, მათი დასაქმების პერსპექტივა შედარებით მაღალი იყოს.

## სტრატეგიული აქტივობები ახალგაზრდებისთვის

2018 წლიდან, ევროკავშირის მხარდაჭერით, World Vision-ის, "Global Development" Fund (AM)-ის და ასოციაცია "ანიკა"-ს მონაწილეობით მიმდინარეობს პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს სოფლად მყოფი ახალგაზრდებისთვის უმუშევრობის აღმოფხვრას, სამუშაოზე დაფუძნებულ დუალურ სწავლებაზე ხელმისაწვდომობას, მოწყვლადი ჯგუფების პრომისუნარიანობის გაზრდას და დასაქმების ხელშეწყობას.

განხორციელებული აქტივობები:

- სამკურნალო მცენარეების კურიკულუმის შემუშავება;
- კერძო სექტორთან საინფორმაციო შეხვედრები;
- მასწავლებლების და კოლეჯის ადმინისტრაციის ტრენინგ-მოდულის შემუშავება;
- WBL (Work Based Learning) შესაძლებლობის გაძლიერების ტრენინგები;
- მებაღეობაში ტრანსნაციონალური კონკურსის სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება;
- WBL ბლოგის შემუშავება;
- პროფესიების შესახებ ელ-სასწავლო პროგრამის გადართობა.

## ინკლუზიური მოდელი დუალურ განათლებაში

2018 წლიდან, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მხარდაჭერითა და საჯარო პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობით მიმდინარეობს პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ დუალურ სწავლებაში შებენიერ შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩართულობის მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას. პროექტი ხორციელდება დარგობრივი ასოციაციებისა და კერძო სექტორის მონაწილეობით.



## განხორციელებული აქტივობები:



- დუალურ განათლებაში ინკლუზიური მოდელის დანერგვა;
- საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და ადგილობრივი სიტუაციური ანალიზის შემუშავება;
- შშმ/სსმ პირთა განათლებაში ჩართულობის გაძლიერების შემუშავება;
- ცნობიერების ამაღლების კამპანიის ორგანიზება შშმ/სსმ პირთა და კერძო სექტორთან დუალურ მოდელში ჩართულობისთვის;
- WBL რეგულაციის სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავება;
- სამშხრივი ხელშეკრულების მოდიფიცირება შშმ/სსმ პირთა საჭიროებებზე მორგების კუთხით;
- შშმ/სსმ პირთა საჭიროებებზე მორგებული შერჩევის მეთოდოლოგიის შუალის ადაპტირება;
- 4 შშმ პირის ჩართვა 2019 წლის საშემოდგომო მიღების პროცესში;
- ალტერნატიული ტესტირების ორგანიზების კომპონენტთა ინტეგრირება დუალური განათლების შერჩევის მეთოდოლოგიაში;
- შემაჯამებელი ღონისძიების ორგანიზება ინკლუზიური დუალური განათლების პაკეტის პოპულარიზაციის მიზნით.



# წლიური ანბარიში



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

### GFA და სამთავრობო სექტორი

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და „საქართველოს ფერმერთა ასოციაციას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანიც საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული შესაძლებლობების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაუმჯობესება იყო.



ფერმერთა ასოციაციამ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმის ფარგლებში, დაგეგმილია საქართველოში აგრარული სექტორით დაინტერესებულ პირთათვის განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო ლიტერატურითა და ტრენინგებით უზრუნველყოფა. მემორანდუმის ფარგლებში დაიგეგმება მოსახლეობასთან და ადგილობრივ ფერმერებთან საინფორმაციო-საკონსულტაციო ხასიათის ერთობლივი შეხვედრები. ასევე, აგრარული სექტორით დაინტერესებული პირებისთვის და ფერმერებისთვის ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობა.



### საქართველოს ფერმერთა ასოციაცია და ბიზნესლიდერთა ფედერაცია "ქალები მომავლისთვის" მომავლისთვის"

საქართველოს ფერმერთა ასოციაციასა და ბიზნესლიდერთა ფედერაცია "ქალები მომავლისთვის" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ასოციაციასა და ფედერაციას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს, სადაც მხარეები ერთობლივ ღონისძიებებს საქართველოში სოფლის მეურნეობის გაძლიერებისა და განვითარების პროცესის მხარდასაჭერად განახორციელებენ.





Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# წლიური ანბარი

## სამოგადოებრივი აქტივობა და ცნობადობა

ფერმერის დღე 2018

18 ნოემბერს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ინიციატივით, ფერმერის დღე ზუგდიდში, დადიანების სასახლეში აღინიშნა. ღონისძიების მიზანი ფერმერული საქმიანობის პოპულარიზაცია იყო.

ფერმერის დღესთან დაკავშირებით, მეწარმეებს სხვადასხვა რეგიონიდან, წარმოდგენილი ჰქონდათ თავიანთი პროდუქცია. ღონისძიების ოფიციალური ნაწილი კი საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პრეზენტაციით გაგრძელდა, რომელიც ასოციაციის თავმჯდომარემ ნინო ზამბახიძემ წარადგინა. აქვე, სხვადასხვა რომინაციებში 23 წარმატებული ფერმერი დაჯილდოვდა.



# წლიური ანბარიში



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

## ფერმერის დღე 2018





Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# წლიური ანბარი

## მეფუტკრის დღე!

20 მაისს, პირველად საქართველოში ფერმერთა ასოციაციის, გლობალური სამეწარმეო ქსელისა და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“, ორგანიზებით „მეფუტკრეთა დღე“ აღინიშნა. გამოფენაზე დეგუსტაცია მოეწყო და მას საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსული, მოქმედი 90 მეფუტკრე დაესწრო, რომელთაც საკუთარი პროდუქცია წარმოადგინეს.

ლონისძიემას, მეფუტკრეებთან ერთად, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, სახელმწიფო სტრუქტურის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ-სუნსათის ეროვნული სააგენტოს, არასამთავრობო სექტორისა და მეფუტკრეთა ასოციაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„მეფუტკრის დღე“ გამოფენა-დეგუსტაციის და პანელურ რეჟიმში მიმდინარეობდა, სადაც განისაზღვრა ის პრობლემები, რომელიც მეფუტკრეებს აწუხებთ.

მეფუტკრეებმა სახელმწიფოს წარმომადგენლებს, მეფუტკრეთა კანონის შექმნის საჭიროებაზე ესაუბრნენ, რომელიც დღემდე არ არსებობს.

მსოფლიოში „მეფუტკრეთა დღედ“ 20 მაისი გაეროს ასამბლეის მიერაა დადგენილი და მას სხვადასხვა ქვეყანაში აღნიშნავენ.



## მეწარმე ქალთა ეროვნული ბიზნესფორმი

ბათუმში „მეწარმე ქალთა ეროვნული ბიზნესფორმი“ ჩატარდა, სადაც დამსწრეებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის უშუალო ბიზნესკონტაქტების დამყარების მიზნით გამართულ პანელურ დისკუსიებს „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ნინო ზამზახიძე წარმართავდა. ფორუმში 300-მდე მეწარმემ, სახელმწიფო უწყებების, კერძო სექტორისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის, 180-მა ქალმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. ფორუმის მთავარი თემა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და არსებული გამოცდილების გაზიარება იყო.

ქალთა ეროვნული ბიზნესფორუმი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის (GCCI), აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის (ACCI), „აჭარის ქალ ბიზნესმენტა ასოციაციის“ (ABWA) და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ორგანიზატორებით გაიმართა.





# წლიური ანბარიში



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

## მცირე და საშუალო საწარმოებისა და მულტინაციონალური კორპორაციების მხარდაჭერა

მცირე და საშუალო საწარმოებისა და მულტინაციონალური კორპორაციების დაკავშირების საპილოტე პროექტი, რომელიც გაერთიანებული სამეფოს უარგი მმართველობის ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება, მიზნად ისახავს ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების წახალისებას და დახმარებას დაამყარონ ბიზნეს კავშირები საქართველოში არსებულ მულტინაციონალურ და ე.წ. „ფრენჩაიზინგით“ შექმნილ კომპანიებთან მათთვის პროდუქციის და მომსახურების მიწოდების მიზნით.

პროექტის პრეზენტაციას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე - გიორგი ჩერქეზიშვილი, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე - ნინო ზამბახიძე, მცირე და საშუალო ბიზნესის, მულტინაციონალური და საერთაშორისო ბრენდის, ე.წ. „ფრენჩაიზინგის“ კომპანიების წარმომადგენლები, აგრეთვე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



## პროექტი „ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემა“

21 მარტს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ, ტექნოპარკში მსოფლიო ბანკის პროექტის „ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის“ (GENIE) ფარგლებში თანადაფინანსების გრანტების პროგრამის პრეზენტაცია გამართეს. ღონისძიებას „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“, 50-მდე ახალგაზრდა ფერმერი დაესწრო.

პროგრამის მიზანია საქართველოში საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების შემუშავება-ათვისების და კომერციალიზაციის გზით ინოვაციების და ინოვაციური საწარმოების წარმოქმნის სტიმულირება.



## ქალი და ინოვაცია

29 მარტს, ქალ მეწარმეთა კვირეულის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაზე „ქალი და ინოვაცია“, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ ნინო ზამბახიძემ დამსწრე საზოგადოებას გამოცდილება გაუზიარა.





Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# წლიური ანბარი

## ძალა ევროპაში


საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ზამბახიძე საზოგადოებრივ კამპანიაში "ძალა ევროპაში" ჩაერთო და მის პრეზენტაციაზე რუსული აგრესიის საპასუხო აქტივობების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

კამპანიის მიზანია ანტიდასავლური, ანტიევროპული პროპაგანდისტის წინააღმდეგობის გაწევა. მასში გაერთიანებულია სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, მსახიობები.



## ქართული ღვინის სექტორთან თანამშრომლობა

საქართველოს ზანკის, Bank of Georgia Business-ისა და Galt & Taggart-ის ორგანიზებით, ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის გამართულ დისკუსიაზე, სადაც დეტალურად განიხილებოდა ღვინის სექტორში არსებული ვითარება და განვითარების პოტენციალი, მოდერნატორად საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ზამბახიძე იყო მიწვეული.



## პროექტი „საგაფხულო სტუდენტური მოგზაურობა #იზრუნე“

„ვისოლ ჯგუფმა“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით, ახალგაზრდული სოციალური პროექტი განახორციელეს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 200-მდე სტუდენტს საშუალება მიეცა ემოგზაურათ საქართველოს რეგიონებში, გაცნობოდნენ ქვეყნის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ტურიზმის მიმართულებით გამოწვევებს. საპილოტე პროექტის პარტნიორები არიან "საქართველოს ფერმერთა ასოციაცია", არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაცია CENN და USAID.



# წლიური ანბარიში



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

## GFA - მედიატორი

### ფერმერების შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან

12 აპრილს საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან გამართა. შეხვედრას ფერმერთა ასოციაციის ფერმერები ესწრებოდნენ, რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ შეკითხვები დაესვათ პრობლემებზე და მიეღოთ სრულყოფილი პასუხები. საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წევრ ფერმერებთან შეხვედრაზე, პრემიერ-მინისტრმა "სასტარტო კაპიტალით უზრუნველყოფის რეფორმის" ახალი ინიციატივა გააუღერა.



### ფერმერების შეხვედრა ბიზნესომბუდსმენტთან



საქართველოს ფერმერთა ასოციაციის სათათბიროს წევრები ბიზნესომბუდსმენტს შეხვდნენ. შეხვედრა, რომელსაც სამოცი ფერმერი ესწრებოდა და სადაც სოფლის მეურნეობაში არსებულ გამოწვევებს განიხილავდნენ, დიალოგის რეჟიმში წარიმართა. ბიუროკრატიული პრობლემები თვითმმართველობებში, ასევე მიწის მიყიდვის შესახებ დაწესებული მორატორიუმი - ეს იყო ის საკითხები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულმა პირებმა ბიზნესომბუდსმენტთან შეხვედრაზე დააყენეს.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ბიზნესომბუდსმენტის ჩართულობის მნიშვნელობას სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებაში, მათ შორის ბიზნესსა და სამთავრობო უწყებებს შორის კომუნიკაციაში, საკანონმდებლო ინიციატივების განხილვასა და ბიზნესსექტორისთვის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევაში. სამომავლოდ, ბიზნესომბუდსმენტისა და ფერმერთა ასოციაციის წევრ კომპანიებთან შეხვედრები სამუშაო ფორმატში გაგრძელდება.





Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# წლიური ანბარიში

## პრეზიდენტის სასახლეში

პრეზიდენტის სასახლეში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ანგარიშის ელექტრონული წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. ანგარიშის წარდგენისას სიტყვით გამომსვლელებს შორის იყო „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ნინო ზამზახიძე, რომელმაც განხორციელებული პროექტების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

სიტყვით გამოსვლისას, ნინო ზამზახიძემ იმ გამოწვევებზე ისაუბრა, რომელიც სოფლის მეურნეობაში არის და ფერმერთა განათლების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.



## წლის ყველაზე გაბედული ანტრეპრენერი!

ყოველთვიურმა გამოცემამ „Entrepreneur“-მა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ზამზახიძე 50 რჩეულს შორის წლის ყველაზე გაბედულ ანტრეპრენერად დაასახელა.



## კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

საახალწლოდ, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ ფერმერების, ნაცნობი თუ უცნობი ადამიანების მხარდაჭერით, სხვადასვა რეგიონში შეჭირვებული ოჯახების დახმარება შეძლო.




# წლიური ანგარიში



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

## ასოციაციის ცნობადობა სოციალურ მედიაში



## Net Followers

Net followers shows the number of new followers minus the number of unfollows.






Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

# წლიური ანბარი

## Post Reach

The number of people who had any posts from your Page enter their screen. This number is an estimate.



### BENCHMARK


Compare your average performance over time.

Organic

Paid

## Reactions

Likes and other ways people react to your Page posts.



### BENCHMARK

Compare your average performance over time.

Like

Love

Wow

Haha

Sad

Angry




## Net Followers

Net followers shows the number of new followers minus the number of unfollows.



## Total Views

By Section





Georgian Farmers' Association  
ქართველთა ფერმერთა ასოციაცია

# წლიური ანბარი

## მედიის გაშუქება-2018

- ◆ <http://www.bm.ge/ka/video/gvino-da-agroturizmi/6922/?fbclid=IwAR1sE0hroEf6XDWS50RJ7gn6QEz-JEXI75QksAAwtPzyu-6gGOAldXYjXqw>
- ◆ [http://www.bm.ge/ka/video/savachro-palatis-axali-proeqtebi/7031/?fbclid=IwAR3Mx6zIffW9OuOGt4wo1GQYsMn60fZB\\_quuPfsKcXpm0t2ovrZboqvo50g](http://www.bm.ge/ka/video/savachro-palatis-axali-proeqtebi/7031/?fbclid=IwAR3Mx6zIffW9OuOGt4wo1GQYsMn60fZB_quuPfsKcXpm0t2ovrZboqvo50g)
- ◆ <http://www.bm.ge/ka/video/megvineoba-da-agroturizmi/7133/?fbclid=IwAR0szQuebAkeFbmcLWhOCruVRwZrVdYyWyzLQRGMqq12bUtSazWM7f4rDzA>
